ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია წარმოგიდგენთ, განკარგულების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ".

განკარგულების პროექტის შემუშავება დაკავშირებულია ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით მიღებული საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%. ,,საქართველოს 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, მუნიციპალიტეტების შემთხვევაში დაიშვება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვრება საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 14% ოდენობით, რაც შეადგენს 22 საშტატო ერთეულს.

განკარგულების მიღება არ მოითხოვს დამატებითი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. განკარგულების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება მოხდება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 14% ოდენობით.

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

დ ა ს კ ვ ნ ა

განკარგულების პროექტის შესახებ

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია:

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან, რომელთა თანახმადაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. ამ შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 25-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დაიშვება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ზექა შენგელია